# 1-ელი კლასის ტესტი

**I ტურის ტესტის ჯამური ქულაა 100. ტესტი შედგება 4 სავარჯიშოსგან. ტესტის გამსვლელი ქულაა 35. ტესტის დაწერა 23 მარტიდან 5 აპრილამდე ონლაინში იქნება შესაძლებელი.**

ტესტში **ფერადი და მხიარული პერსონაჟები** მოსწავლეს უქმნის დადებით განწყობას და **ეხმარება თამაშ-თამაშით გაიმეოროს ნასწავლი მასალა.**

ტესტში ხშირად შევხვდებით ისეთ შეკითხვებს, რომლებიც სავარაუდო პასუხებში წინა შეკითხვის სწორ პასუხს იმეორებს. ამ გზით მოსწავლე იმყარებს ცოდნას და მას უმარტივდება ყოველ ახალ კითხვაზე პასუხის გაცემა.

შეკითხვების დიდი ნაწილი ქართულადაა, განსაკუთრებით სავარჯიშოს პირველი შეკითხვები.

## #1 რიცხვების ცნობა - ეს სავარჯიშო 20 ქულიანია და 5 საკითხისგან შედგება, შესაბამისად თითო საკითხის ქულა 4-ია.

სავარჯიშოს მოსწავლე კარგად გაართმევს თავს თუ იცის 1-დან 20-მდე რიცხვების ინგლისური სახელწოდებები.

**მაგალითად მოცემულია:**



რომელ რიცხვს ხედავ სურათზე?

**<u>A. one</u>** B. five C. ten

## #2 რას მივირთმევთ - ეს სავარჯიშო 30 ქულიანია და 10 საკითხისგან შედგება, შესაბამისად თითო საკითხის ქულა 3-ია.

სავარჯიშო მოსწავლის ხილ-ბოსტნეულის და სხა საკვების (პური, ყველი…) სიტყვების მარაგს ამოწმებს. მოსწავლეს შეკითხვაში ან პასუხებში კარგად ნაცნობი სიტყვები შეხვდება.

**მაგალითად მოცემულია:**



რომელი ხილია გამოსახული სურათზე?

A. a banana **B. a pineapple** C. an apple

მაგალითისთვის ამ სავარჯიშოში, A. - ბანანი და B. - ვაშლი კარგად ნაცნობი ხილია, ამიტომ მოსწავლეს უმარტივდება B პასუხის შერჩევა და ახალი ცოდნის მიღება.

**#3 წინადადების შევსება - ეს სავარჯიშო 30 ქულიანია და 10 საკითხისგან შედგება, შესაბამისად თითო საკითხის ქულა 3-ია.**

**მაგალითად მოცემულია:**



This ____ a dog.

**A. is** B. are C. cat

ამ სავარჯიშოში ვამოწმებთ რამდენად შეუძლია მოსწავლეს მარტივი გამოტოვებული სიტყვების შევსება, როგორებიცაა: is, are, me, you, he, she, it, a cat, a dog, a book, a girl, a boy და მსგავსი.

**#4 ფერების ცნობა - ეს სავარჯიშო 20 ქულიანია და 5 საკითხისგან შედგება, შესაბამისად თითო საკითხის ქულა 4-ია.**

**მაგალითად მოცემულია:**



რა ფერისაა ეს მხიარული პერსონაჟი?

A. red B. green <u>C. yellow</u>

ამ სავარჯიშოს წარმატებით შესასრულებლად მოსწავლემ უნდა იცოდეს ფერები, როგორებიცაა: green, red, yellow, blue, black, pink, white, orange, purple, brown.

იმედია, ჩვენი მიმოხილვა დაგეხმარებათ უკეთ მოემზადოთ ოლიმპიადისთვის და გადახვიდეთ მომდევნო ტურში.

**დამატებით სამეცადინოდ ნახეთ ოლიმპიადის მოსამზადებელი კურსი**

[კურსის ნახვა]

**მოსამზადებელი კურსის უპირატესობები:**

✅ **ოლიმპიადის სტრუქტურის იდენტური სტრუქტურა** - მოსწავლე მეცადინეობს ოლიმპიადის მსგავს საკითხებში;

✅ **შედეგების გადახედვა** - ტესტის დასრულების შემდეგ მოსწავლეს შეუძლია, გადახედოს ტესტს და გაიგოს რა შეეშალა;

✅ **დროის მთვლელი** - ტესტებს აქვს დროის მთვლელი, რომელიც ეხმარება მოსწავლეს ისწავლოს დროის მართვა;